პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 174 (11178) | ხუთშაბათი, 31 ივლისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი

ა. წ. 29-30 ივლისს გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი II პლენუმი.

მოხსენება „კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა „მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების განვითარების დაჩქარების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში“ გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ე. სემიჩასტნიმ. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმმა შეიმუშავა ქიმიური მრეწველობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების გრანდიოზული პროგრამა, რომლის განხორციელება იქნება მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის, მძიმე მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების და გადიდების, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო სწრაფი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. კომუნისტური პარტიის ამ ღონისძიებებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს მთელმა საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ.

საკავშირო ალკკ XIII ყრილობამ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით გამოაცხადა კომკავშირის შეფობა ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისადმი და მოუწოდა ახალგაზრდა ენთუზიასტთა ახალ რაზმებს წაგიდნენ ამ მშენებლებებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მოიწონა კომკავშირის ინიციატივა. ლენინური კომკავშირის ორგანოების საქმეა გაამართლოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს მაღალი ნდობა, ნათქვამია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოაცხადა კომკავშირული ლაშქრობა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის. ყველა კომკავშირული ორგანიზაციის, კომკავშირის კომიტეტების საბრძოლო ამოცანაა უზრუნველყონ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მოქმედ ქიმიურ საწარმოთა გაფართოებასა და ახალ საწარმოთა მშენებლობაში, ქიმიური პროდუქტების და, უწინარეს ყოვლისა, სინთეზური მასალებისა და მათ ნაკეთობათა წარმოების მკვეთრად გადიდებაში; სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას კომუნისტური პარტიის მიერ დასახული დიდებული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო აქტიურად უნდა აწარმოონ მუშაობა, რათა ახალგაზრდობას განუმტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალები, ფართოდ უნდა გაშალონ ქიმიური ცოდნის პროპაგანდა, ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება ქიმიურ მრეწველობაში, აგრეთვე სინთეზური მასალების გამოყენების გამოცდილება სახალხო მეურნეობაში.

მხარი დაუჭირა რა კომკავშირის სოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალური კომიტეტების წინადადებებს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა გამოცხადოს საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრება ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობასა და მოქმედ საწარმოთა გაფართოებაში უკეთ მონაწილეობისათვის, ორეული იმ მანქანათაშენებელი და ხელსაწყოთაშენებელი ქარხნების კომკავშირული ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრება, რომლებიც ასრულებენ დავალებას ქიმიური მრეწველობის საწარმოებისათვის. კომკავშირის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ეძლევათ რჩევა შექმნან ქიმიური მრეწველობის დაკვრითი ობიექტების მშენებლობისადმი შეფობის კომკავშირული შტაბები.

1959 წელს დასახულია მოეწყოს ქიმიური მრეწველობის წარმოების ახალგაზრდა მოწინავეთა, საწარმოების, მშენებლობების, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, ახალგაზრდა მეცნიერთა და კომკავშირულ მუშაკთა შეკრება. შეკრება შეაჯამებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირელების ინიციატივის და ახალგაზრდობის მონაწილეობის პირველ შედეგებს.

პლენუმმა წერილით მიმართა ქიმიური მრეწველობის საწარმოთა, მშენებლობათა, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების ახალგაზრდა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, ქიმიური მანქანათშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოთა კომკავშირელებს, ჩვენი ქვეყნის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას და მოუწოდა ჩაებან კომკავშირულ ლაშქრობაში ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდობა ყოველ ღონეს იხმარენ, რათა იყონ კომუნისტური პარტიის დიდი ნდობის ღირსნი, ყველაც იყონ მისი ერთგული თანაშემწენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ „რა უნდა იცოდეს პიონერმა და რა ჩვენებ უნდა ჰქონდეს მას. სანიმუშო ნუსხა (ნორჩი პიონერის საფეხურები)“ პლენუმზე მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. კ. ბალიასნიამ.

შესაბამისად საკავშირო ალკკ XIII ყრილობის მითითებისა იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი, განხორციელდეს ეს მუშაობა პიონერთა სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდეს მათი სხვადასხვა მისწრაფება და მოთხოვნილება, აგრეთვე შემდგომ განვითარდეს პიონერთა ინიციატივა და თვითმოქმედება, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიერ წარდგენილი სანიმუშო ნუსხა იმისა, თუ რა ცოდნასა და ჩვევებს უნდა დაეუფლოს პიონერი პიონერულ ორგანიზაციაში ყოფნის დროს.

დაწესებულია სამი საფეხური: პირველი — III-IV კლასების, მეორე — V-VI კლასების, მესამე — VII-VIII კლასების პიონერთათვის.

თვითეული საფეხურისათვის განსაზღვრულია სანიმუშო ნუსხა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიმდინარე მოვლენების, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ფაქტების, კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის შესახებ კონკრეტული ცნობებისა და ნუსხა იმისა, თუ რა უნდა იცოდეს და რა ჩვევები უნდა ჰქონდეს პიონერს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, ტექნიკის, ნორჩ ნატურალისტთა მუშაობის, სპორტის, ტურიზმის დარგში, გათვალისწინებულია სხვადასხვა თამაშისა და სიმღერის ცოდნა და სხვ.

პლენუმმა კომკავშირის კომიტეტებსა და პიონერული ორგანიზაციის საბჭოებს დაავალა ფართოდ განუმარტონ კომკავშირულ და პიონერულ მუშაკებს და აქტივისტებს, კომკავშირელებსა და პიონერებს, სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკებს, მშობლებს, საზოგადოებრიობას პიონერული რაზმებისა და რაზმეულების მუშაობის შინაარსი და მეთოდები იმის შემოღებასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იცოდეს და რა ჩვევები უნდა ჰქონდეს პიონერს; უზრუნველყონ, რომ პიონერხელმძღვანელები, მასწავლებლები, სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაკები, უწინარეს ყოვლისა, თვითონ დაეუფლონ კარგად იმას, თუ რა უნდა იცოდეს პიონერმა და რა ჩვევები უნდა ჰქონდეს მას და საქმის ცოდნით შეძლონ ამ მუშაობის განხორციელება.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, რომ კომკავშირული ორგანიზაციები კვლავაც უწევდნენ დახმარებას პიონერულ რაზმეულებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებს საჭირო მატერიალური ბაზის შექმნაში და იმაში, რომ პიონერებთან სამუშაოდ მათ დაეთმოთ კლუბები, წითელი კუთხეები, სტადიონები; კვლავაც შეარჩიონ და პიონერ-ხელმძღვანელებად, წრეების, სასპორტო სექციათა ხელმძღვანელებად გზავნონ წარმოებაში მომუშავე საუკეთესო კომკავშირელები.

პიონერთა მიერ ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის დაუფლებისათვის მუშაობის წარმატებით განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს კომკავშირის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდაში.

1959 წლის 26 ივლისიდან 4 აგვისტომდე ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის VII მსოფლიო ფესტივალი.

ამ ფესტივალში საბჭოთა ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ნ. მესიაცევმა.

მსოფლიო ფესტივალები ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა. ეს ფესტივალები ახალგაზრდა თაობის დიდი წვლილია მშვიდობის დაცვის საქმეში, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებაში. ცნობილია, რომ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი, რომელიც 1957 წლის ზაფხულში გაიმართა მოსკოვში, გადაიქცა იმის მძლავრ მანიფესტაციად, რომ ახალგაზრდა თაობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იცხოვროს მეგობრულად, დაიცვას მშვიდობა, იბრძოლოს ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მორიგი VII მსოფლიო ფესტივალისათვის მზადება ჩაედება ამ ვითარებაში, როცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებულმა ინტერვენციამ ლიბანსა და იორდანიაში ახალი ომის საფრთხის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ისტორიის ამ მრისხანე მომენტში ყველა პატიოსანი ადამიანი მშვიდობის დასაცავად აღსდგა. ყველა კონტინენტის დემოკრატიული ახალგაზრდობა კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკა-ინგლისის სამხედრო ავანტიურა ახლო და შუა აღმოსავლეთში, გადაჭრით გამოდის ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ. იგი მხურვალედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მათს უდიდეს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა წინადადება მისცა პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტებთან ერთად გაშალონ ქმედითი მზადება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის VII მსოფლიო ფესტივალისათვის. ფესტივალისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მოსამზადებელი მუშაობა უნდა წარიმართოს ისე, რომ საბჭოთა ახალგაზრდობამ კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი გეგმების შესრულებაში, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებით. იხელმძღვანელენ რა საკავშირო ალკკ XIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, კომკავშირული ორგანიზაციები ფესტივალისათვის მზადების მსვლელობაში მოვალენი არიან უზრუნველყონ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობა, კიდევ უფრო აქტიურად იმუშაონ ქალიშვილთა და ჭაბუკთა აღსაზრდელად შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მტკიცედ ჩაუნერგონ ახალგაზრდობას იმის უნარი, რომ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ კომუნისტურად.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალზე საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციამ უნდა აჩვენოს ყველას მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის დარგში, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში, საბჭოთა ხალხისა და ახალგაზრდობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, უნდა აჩვენოს, თუ საბჭოთა სახელმწიფო, მისი ხალხი და ახალგაზრდობა როგორ ცდილობენ, რომ მშვიდობით იცხოვრონ დედამიწის ყველა ხალხთან, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის წარმატებით მოწყობას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ნ. შელეპინმა.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ინდოელ ჟურნალისტებთან

29 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ინდოეთის ზოგიერთი გაზეთის რედაქტორები და თანამშრომლები — განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტოკჰოლმის მსოფლიო კონგრესის მონაწილენი.

საუბარში მონაწილეობას იღებდნენ ჯაგდიტ სინგჰ ანანდი, ჯაგატ ნარაინი, ანანდ ს. ჯეინი, ს. რ. ტიკეკარი, მ. გ. დესაი, ხ. პ. დესაი, ო. პალივალი.

საუბარი მიმდინარეობდა გულწრფელობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა ინდოელ ჟურნალისტთა კითხვებზე და, კერძოდ, კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობანი მოეპოვებათ მშვიდობისმოყვარე ხალხებს, რათა აღკვეთონ აგრესორ კოლონიზატორთა მოქმედება და უზრუნველყონ მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე მ. ა. ხარლამოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ო. ა. ტროიანოვსკი.

შრომაც კარგი იციან და ლხინიც

„მოსავლის დღესასწაულზე“ ლაგოდეხელ მეგობრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავთავიანი კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ და მოკლე დროში აღების აღსანიშნავად ამ უკანასკნელ წლებში ივლისში ლაგოდეხის რაიონში ხაზეიმო ვითარებაში ეწყობა „მოსავლის დღესასწაული“. წელსაც — 27 ივლისს კოლმეურნეები, მექანიზატორები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები შეიკრიბნენ რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილას — ნაკრძალში. აქ იყვნენ წითელწყაროს, მარნეულის და სხვა რაიონების წარმომადგენლებიც. ამ დღეს ლაგოდეხელმა მშრომელებმა საზეიმოდ შეაჯამეს პურეულის მოსავლიანობის გადიდების საქმეში გაწეული თავიანთი შრომის შედეგები და დასახეს ახალი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისათვის.

საზეიმო სხდომა გახსნა პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მეორე მდივანმა ანასტასია ბეგიაშვილმა. პურეულის მოსავლის აღების საქმეში რაიონის მშრომელების მიერ გაწეულ მუშაობაზე მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ჩიკვაიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. მამედოვი, პიონერები ლ. ჯიბლაშვილი, ლ. სადათერაშვილი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს ლელიანის სასოფლო საბჭოს გადაეცა პარტიის ლაგოდეხის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა აგრეთვე სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. ყაველაშვილი), რომელმაც პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით რაიონში პირველი ადგილი დაიკავა.

* * *

ყოველი წლის ივლისში უკანასკნელ კვირას ალაზნის გაღმა მხარისაკენ მიმავალ გზებზე ტევა არ არის — გვერდს ვერ აუვლით ყვავილიანი ჩამჯდარ მსუბუქ და საბარგო ავტომანქანებს, ქვეითად მიმავალთ და ცხენოსნებს. ასე იყო წელს 27 ივლისსაც. ისმოდა ზეიმზე მიმავალ ადამიანთა მხიარული შეძახილები, სიმღერები, სიცილი...

ისინი ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალისაკენ მიიჩქაროდნენ. გრილი ნიავისაგან მოშრიალე ასწლოვანი მუხის, წიფლის, ცაცხვის ხეები ხშირი ფოთლების რხევით სტუმართმოყვარულად მოუხმობდნენ დიდსა და პატარას, ყველას, ვინც დაუღალავი შრომით ოქროს თავთავის ხვავი დააყენა.

ამ ადამიანებმა შრომაც კარგი იციან და ლხინიც... ბარაქიანი ,ახეთის ველები კარგად იცნობენ მათი მარჯვენის ძალას. ამ ძველთაძველმა მიწამ გამოსცადა რევოლუციამდელი დაბეჩავებული, კავთან მიბმული ქართველი გლეხის გმინვაც და ახლა თავისუფალი, ახალი ქვეყნის მშენებელი კოლმეურნის სიხარულიც.

ნაკრძალი ფლორითა და ფაუნით მდიდარი ადგილია. იგი უცხოელ დამპყრობთა მრავალი შემოსევის მოწმე ყოფილა. დღეს კი ამ გზაზე მეგობრები დადიან. ახალმა თავისუფალმა ცხოვრებამ დააკავშირა ისინი. ერთი საერთო დიდი საქმის სამსახურმა ახალი შნო და მადლი მიანიჭა მათს შრომას... საქართველოში ლაგოდეხის რაიონი ცნობილია თავისი მოსახლეობის მრავალეროვნულობით. სულ 862 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობენ რუსები, აზერბაიჯანელები, ლეკები...

ნაკრძალისაკენ მიმავალთა შორის ნახავდით არეშფერანელებსა და აფენელებს, ბაისუბნელებსა და ვარდისუბნელებს, აქ იყვნენ კაბალელები და ლაგოდეხელები, ბუდიონოვკელები და ლელიანელები.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი კუთხე ამ დღისათვის საზეიმოდ არის მორთული და რადიოფიცირებული. აქვეა სახელდახელოდ მოწყობილი „მწვანე ტრიბუნა“. ქართულ მამა-პაპურ სიმღერებს უერთდება ნორჩი პიონერების დაფდაფისა და საყვირის ხმები. პატარებიც დედების, მამების, უფროსი ძმებისა და დების — შრომაში გამარჯვებული სახელოვანი ადამიანების ზეიმზე დასასწრებლად და მისასალმებლად მოსულან.

რამდენი განცდა, უშუალობა, სისადავე, სიმართლე იყო ჩაქსოვილი სოფელ შრომის მე-6 კლასის მოსწავლე ლუიზა ჯიბლაშვილის წარმოთქმულ ლექსში, რომელიც აქ დაუწერია ლაგოდეხელ სახალხო მთქმელს:

გული მღერის, როს უცქერი
გლეხთა ზეიმს გალაღებულს,
პატიოსან შრომის ნაყოფს, ხალხის
თვალში გამარჯვებულს.
ვის უმადლის გლეხის გული, ვისით
არის კმაყოფილი?
ეს პარტიის შედეგია, არნახული,
არყოფილი.
მისი ზრუნვით მღერის ყველა,
იმერი და ამერი
და ნაკრძალში ისმის გრგვინვით
ტკბილი მრავალჟამიერი!

ამ დიდ სახალხო ზეიმზე ლაგოდეხელები კმაყოფილებით

ზეიმზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ძნელი იყო წრეში შეღწევა, სადაც ჭიდაობა იყო გაჩაღებული. ახალგაზრდების ერთი ნაწილი ხეებიდან უყურებდა ამ სანახაობას.

* * *

ახალ ვიმტს-ების „ორგანიზაციის შედეგად კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება შემჭიდროებულ ვადებში დავამთავრეთ. მოსავალი აღებულ იქნა 10-12 სამუშაო დღეში, ე. ი. შაბათ-დილაზე 15-17 დღით ადრე.

ლაგოდეხელებმა მარტო ზეიმსა და დღესასწაულზე კი არ იციან უკლებლივ დასწრება. როცა შრომა დუღს, როცა ოფლის ღვრის ჟამია, ლაგოდეხელებიც



გახურდა დოლი. საცეკვაოდ ხალისით მიიწევს დიდიც და პატარაც.

* * *

იხსენიებდნენ თავიანთ შრომითს წარმატებებს, იმ შრომითს აღფრთოვანებას, რომელმაც საშუალება მისცა „ზღვად გამსკდარიყო“ მათ მიერ მიწაში ჩაგდებული მარცვალი. აქვე ისახებოდა ახალი გეგმები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მკითხველისათვის ნათელი რომ გახდეს, თუ როგორ მოიპოვეს ლაგოდეხელებმა ამ დიდი დღესასწაულის უფლება, ურიგო არ იქნება ციფრები და ფაქტები გავიხსენოთ.

გასული სამეურნეო წელი რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს. სახელმწიფომ ლაგოდეხელებისაგან მიიღო 500 ტონით მეტი თამბაქო, ვიდრე გეგმით იყო

ლაგოდეხელი მშრომელები მოსავლის აღების დამთავრებისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.



სოფელ შრომის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ლ. ჯიბლაშვილი ამბობს ლექსს.

მა მექანიზატორებმა ასევე უკლებლივ იციან გასვლა, როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გადის. და როგორც დღეს, ლხინის დროს „მრავალჟამიერი“, ასევე ხმიერი და ვაჟკაცურია მათი „ჰოოპუნა“ ვარდის, თამბაქოსა და ხორბლის ველებზე.

ლაგოდეხელთა ზეიმს მეზობელი რაიონებიდანაც ესწრებიან. სტუმრებს შორის მარნეულის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებიც არიან. მარნეულელები სხვა სტუმრებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მასპინძლებთან სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული. მართალია, ლაგოდეხელებმა შარშან „დაჯაბნეს“ მარნეულელები, მაგრამ მათი მეგობრობა უფრო განმტკიცდა. ისინი ხშირად ჩამოდიან აქ ლაგოდეხელთა საქმიანობის „საიდუმლოების“ გამოსაცნობად. ეს კეთილი მეგობრული გრძნობები კარგად გამოხატა მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. მამედოვმა, რომელმაც მიმართა „მეტოქეებს“:

— ჩვენი დელეგაციისათვის სასიამოვნოა და გვახარებს ის საუკეთესო შედეგები, რომლებისთვისაც მიგიღწევიათ სამეურნეო წლის პირველ ნახევარში. ეს მიღწევები ჩვენ პირადად ვნახეთ თქვენს ზოგიერთ კოლმეურნეობაში და მოვისმინეთ აქ თქვენს ზეიმზე. თქვენს მიღწევებს მარნეულის რაიონის მშრომელებს გადავცემთ. ორ მეზობელ რაიონს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო გაალრმავა მეგობრობა რაიონის მშრომელებს შორის, აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხს შორის. ჩვენთანაც იქნება მოსფლის აღების დღესასწაული. გვეწვიეთ, ლაგოდეხელო მეგობრებო!

...საქართველო ოდითვე ასე იყო: როცა მტერზე მოიპოვებდნენ დიდ გამარჯვებას ან გაზაფხული დაამსხვრევდა ზამთრის ყინულს ან შემოდგომით გლეხი სარჩო-საბადებელს სახლში მიზიდავდა, ქართველი კაცი მზის სადიდებლად მართავდა ზეიმს, იმ მზისა, რომელიც მიწაში თესლს აღვივებდა და ძარღვებში სისხლს უდუღებდა, იმ მზისა, რომელიც ასე ლამაზად ანათებს საშობლოს ციდან და ქართულ თავთუხსაც მისი ფერი და მადლი ადევს. ლაგოდეხელებმაც შრომის ველებზე მოპოვებული წარმატება „ძველებურად, ჩვენებურად“ აღნიშნეს და ახალ გამარჯვებათა სადღეგრძელო შესვეს...

ჩვენ გვჯერა, რომ ლაგოდეხელები შემოქმედებითი შრომით საკოლმეურნეო ხვავისა და ბარაქის შესაქმნელად კვლავაც მოიპოვებენ სულ ახალ და ახალ წარმატებებს.

ა. კოკილაშვილი,
შ. ბოდაშა,
ბ. ბახტურიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

მშრომელთა ჩვენიდლები რედაქციას

მედიცინის მუშაკთა სამეფო მუშაობა

თბილისის სტალინის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები ბევრ რამეს აკეთებენ და კიდევ მეტის გაკეთებას აპირებენ იმ პატრიოტული მოწოდების პასუხად, რომლითაც რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივმა საქართველოს ქალაქების ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს მიმართა. მათ შეიმუშავეს საშეფო მუშაობის კომპლექსური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს კასპის რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და სამკურნალო დაწესებულებათა მეთოდური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ (გამგე ი. კენჭაძე) გადაწყვიტა შეფობა გაუწიოს კასპის რაიონის სამკურნალო დაწესებულებებს.

რესპუბლიკის სტომატოლოგიურმა პოლიკლინიკამ უკვე გამოაყო მოწყობილობა კასპის პოლიკლინიკისა და სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის ჯანმრთელობის დაცვის პუნქტის სტომატოლოგიურ კაბინეტებში დასადგმელად.

კასპის საავადმყოფოს ელექტროკარდიოგრაფიის კაბინეტი არა აქვს. ამ კაბინეტის მოწყობაში მას დახმარებას უწევს თბილისის მეორე საავადმყოფო.

მეორე ტუბდისპანსერმა (მთავარი ექიმი მ. მგელაძე), რესპუბლიკის ოვალის საავადმყოფომ (მთავარი ექიმი პ. მაჭარაშვილი), ბავშვთა მეორე საავადმყოფომ (მთავარი ექიმი დ. სურგულაძე), ქალაქის მესამე საავადმყოფომ (მთავარი ექიმი ი. იმნაძე) გარკვეული რაოდენობით გამოაყვეს საწოლები კასპის რაიონიდან მოვლინებული ავადმყოფებისათვის.

ქალაქის ცენტრალურ კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში (გამგე ნ. აბაშიძე), რესპუბლიკის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში (მთავარი ექიმი ვ. საყვარელიძე), ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ვ. გურაშვილი) და ქალაქის მეორე საავადმყოფოში (მთავარი ექიმი ვ. გოგიაშვილი) კვალიფიკაციას აიმაღლებენ კასპის რაიონის სამკურნალო დაწესებულებათა ცალკეული მუშაკები.

სტალინის რაიონის სანეპიდსადგური (მთავარი ექიმი ლ. ხაჭაპურიძე) დაეხმარება კასპის რაიონის სანეპიდსადგურს სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის უკეთ მოწყობაში.

25 ივლისს თბილისის სტალინის რაიონის მედმუშაკები — გამოცდილი სპეციალისტები: პატიზიატრი მ. მგელაძე, დერმატოლოგი პროფესორი ა. ვართაპეტოვი, პედიატრები ა. ჭეიშვილი, დ. სურგულაძე, მეანგინეკოლოგი გ. კალანდაძე, ნევროპათოლოგი მ. გორდონი, ოკულისტი პ. მაჭარაშვილი, თერაპევტები დოც. შ. კვიცარიძე და ზ. ზუბადალაშვილი, ოტოლარინგოლოგი მ. სიტინა, ექიმი-ლაბორანტი ნ. აბაშიძე, ქირურგი ვ. მეტრეველი, ტროპიკოლოგი დოც. გ. გორდაძე, ეპიდემიოლოგი ლ. გამყრელიძე და სხვ. იყვნენ კასპში. რაიონის პოლიკლინიკასა და საავადმყოფოში, აგრეთვე კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ადგილობრივ სამედიცინო პერსონალთან ერთად მათ გაუწიეს ავადმყოფები, რომლებსაც დაენიშნათ სათანადო მკურნალობა. კასპის პოლიკლინიკასა და საავადმყოფოს უსასყიდლოდ გადასცეს ბევრი სამედიცინო ხელსაწყო, შეიკეთეს და წესრიგში მოიყვანეს საავადმყოფოს სამედიცინო აპარატები.



დასასრულ სტალინის რაიონის მედიცინის მუშაკებმა ადგილობრივ სპეციალისტებთან გამართეს სკოლსულტაციო მეთოდური საუბრები, ხოლო პროფესორმა ა. ვართაპეტოვმა კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის მუშებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე — „პოდერმიტების პროფილაქტიკა“.

კ. კეკელიძე,
კასპის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი,

ზ. ზუბადალაშვილი,
თბილისის მეორე კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე.

* * *

სურათებზე: წრეში — თვალის სნეულებათა რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი პ. მაჭარაშვილი კასპელ ექიმ ვ. თათენაშვილთან ერთად სინჯავს კოლმეურნე თებრო ტერტერაშვილს; ქვევით — თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ა. ჭეიშვილი კასპის პოლიკლინიკაში სინჯავს ავადმყოფ ბავშვს.

მადლობა მშობლიურ მთავრობას და კომუნისტურ პარტიას

ხაშურის კონდუქტორთა რეზერვში ვმუშაობდი უფროს კონდუქტორად. 1954 წელს მძიმე ტრავმატული შემთხვევის გამო ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე. ჩემს გადარჩენას არავინ ფიქრობდა. ჩვენი სახელოვანი მედიცინის და საბჭოთა ორგანოების მუშაკების გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად შევინარჩუნე სიცოცხლე, მხოლოდ სამუდამოდ დაკარგე შრომის უნარი, გავხდი შრომის ინვალიდი. ამ დროს ცუდი საბინაო პირობები მქონდა და არც შრომისუნარიანი მყავდა ვინმე ოჯახში, გარდა ჩემი მეუღლისა, რომელსაც მუშაობა არ შეეძლო, რადგან მეც მოსაკლელი ვიყავი და მცირეწლოვანი ბავშვებიც.

დიდია კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობის ზრუნვა უბრალო ადამიანებზე. ამას ჩემი მაგალითიც მოწმობს. მე დამინიშნეს პენსია 880 მანეთი. ხაშურში ყაზბეგის ქუჩაზე ახლახან დამთავრდა რკინიგზელებისათვის საცხოვრებელი სახლის აგება. ამ სახლში სხვა რკინიგზელებთან ერთად მეც მომცეს კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა. ახლა ჩემი ცოლშვილით თავს შედნიერად ვგრძნობ.

მადლობა მშობლიურ მთავრობას და კომუნისტურ პარტიას ასეთი გულისხმიერი ზრუნვისათვის.

ნ. თიგიშვილი,
შრომის ინვალიდი, პენსიონერი.

ფელეტონი

სიზმრად ვნახე

სიზმრად ვნახე: ფრთები მქონდა,
დავფრინავდი აქეთ-იქეთ,
პლეხანოვის პროსპექტზე ვარ,
სადღეგრძელოს ვამბობ ჭიქით...
ჩავიხედე დიდ სარდაფში,

სახადილო იყო ერთი,
სიმღერები მოისმოდა,
„დამისხი“ და „ალვერდი!“
უცბად იქვე — დირექტორმა
(მგონი იყო კარპე ღლონტი!)
განცხადება გამოაკრა,

მიაწება კარებს მაგრად:
„სახადილო არ მუშაობს
რადგან გვაქვს კაპ რემონტი!..“
მე არ ვიცი ამ რემონტით
რა გაკეთდა, ვინ გაკეთდა,
მხოლოდ ვიცი: სახადილო
„სახაუზმედ“ გადაკეთდა!
ტრესტს ახალი კაცი ჰყავსო,
მან ისურვა თურმე ასე,
სახაუზმე მომხმარებელს
სთავაზობსო დაბალ ფასებს!..
არ გასულა ერთი კვირა
განცხადებაც გამოაკრეს,
რა სწერია ახლა ნეტავ?!
ჩავიარე... მინდოდა, რომ
ყურადღება მომექცია:
„სახაუზმე არ მუშაობს“, —
აცხადებდა დირექცია.
თურმე ტრესტში, პეტრეს ნაცვლად
როცა ახლა პავლე დასვეს,
„სახაუზმის“ რემონტის და
სხვა საკითხიც ბლომად დასვეს.

და გაჩაღდა კვლავ რემონტი.
მე ვერ გეტყვით, რა გაკეთდა,
ვიცი მხოლოდ, „სახაუზმე“
რომ „სახინკლედ“ გადაკეთდა!..
არ გასულა ორი კვირა,
პავლეს ნაცვლად შაქრო დასვეს,
და საკითხი „სახინკლესი“
უახლოეს კითხვად დასვეს.

განცხადება... კვლავ რემონტი...
(ეს საქმეა მარტო მათი!)
და „სახინკლის“ ნაცვლად გახსნეს
„სასაუზმე ავტომატი“!
მაგრამ, ჰოი საოცრებავ,
ამ თვალებმა ეს რა ნახეს,
„ავტომატიც“ დაიხურა
კვლავ რემონტი გაჩაღდეს!
ვერ გავიგე, თუ რა ხდება,
გული ლამის დაილიოს,

„ავტომატის“ ნაცვლად ახლა
მგონი ხსნიან „პავილიონს“!
გამეღვიძა და სარკეში
ვეღარ ვიცან ჩემი სახე!
ვთქვი: ეს ცხადში არ მოხდება,
ალბათ წუხელ სიზმრად ვნახე!

კ. გოგიაშვილი.

ეს საკითხი ყურადღების ღირსია

არ არის ორგანიზაცია, რომელსაც მივლინებაში არ გაეგზავნოს თავისი თანამშრომელი. არც ისეთი რაიონი არსებობს, სადაც მივლინებულს არ დასჭირვებოდეს ჩასვლა. ისიც ცნობილია, რომ მივლინების შემდეგ ორგანიზაცია ანაზღაურებს სამივლინებო ხარჯებს. ეს ანაზღაურება ხდება ერთიანი კანონის საფუძველზე, რომელიც არ ითვალისწინებს რაიონის მდებარეობას და თავისებურებებს. სწორედ ამ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

ჩვენი ქვეყანა დიდი და მრავალფეროვანია. ყველა რაიონი ერთნაირი როდია. საქართველოში მთაგორიანი რაიონები სჭარბობს. ცხადია, რომ სხვადასხვა რაიონებში მიმოსვლის საშუალებები მკვეთრად განსხვავდება ერთი-მეორისაგან. ვაკე რაიონებში კეთილმოწყობილ გზებზე შეუფერხებლად მოძრაობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტი, მაშინ როცა მთაგორიან რაიონებში ტრანსპორტის მოძრაობა მეტად შეზღუდულია, ხოლო ზოგიერთ რაიონში შეუძლებელიც. აქ მივლინებულს ფეხით უხდება სიარული და გაცილებით მეტი ენერგია და დრო ეკარგება.

ცხადია, სამივლინებო თანხების ანაზღაურების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას რაიონის თავისებურებანი, განსაკუთრებით კი მიმოსვლის საშუალებანი კონკრეტულ რაიონში.

ამ საკითხს ფინანსთა სამინისტრომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბ. ბაგლუანი,
ლენტეხის შემნახველი სალაროს გამგე.

მესტიის რაიონის ნორმალური კინომომსახურებისათვის

მესტია ჩვენი რესპუბლიკის მთიანი, შორეული რაიონია. ზღაპრულად იცვალა მან სახე უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე. რაიონში დიდი ხანია შეიჭრა კულტურის, განათლების სხივი. რაიონს თავისი საკუთარი ინტელიგენცია ჰყავს, მშრომელთა წრიდან გამოსული არა ერთი ასეული ადამიანი იღვწის რესპუბლიკის როგორც დედაქალაქში, ისე პერიფერიებში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტებზე.

მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად გაიზარდა რაიონის მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებაც. დიდია მათი ინტერესი კინოფილმებისადმი, სიხარულით მოელიან ისინი ყოველ ახალ ფილმს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ მხრივ რაიონში საქმე მოუგვარებელია. მესტიის რაიონის კინომომსახურება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან ერთად დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოგაქირავების რესპუბლიკური კანტორის ცხაკაიას განყოფილებას. ეს უკანასკნელი კი უსულგულოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას მესტიის რაიონის მიმართ, უყურადღებას არ აქცევს მშრომელთა მოთხოვნილების საფუძველზე კულტურის განყოფილების მიერ წარდგენილ განაცხადს, გზავნის პირველ შეხვედრილ, უკვე დიდი ხანია ყველას მიერ ნანახ კინოსურათებს. არც ისე იშვიათად კი — სურათებს, რომლებიც რაიონის მშრომელებმა ორი-სამი თვის წინათ ნახეს. მაგალითად, აპრილში დემონსტრირებული კინოსურათები „გზა და ბედი“, „გაასწორეთ ფოკუსი“ და სხვა მაისში ხელახლა გამოგზავნეს, სამაგიეროდ აქ სულ არ მოუტანიათ კინოხელოვნების ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის „ოთარაანთ ქვრივი“, „მე ვიტყვი სამართლეს“, „კამო“, „პოეტის აკვანი“, „დარიკო“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „ბრძოლა ველზე“, „თოთხმეტის სიცოცხლისათვის“, „ყალბი ფული“, „ბაიჯუ ბავრა“, „ორი ბიგხი მიწა“, „ცამეტნი“, „პოლიციელები და ქურდები“, „ისინი ხუთნი იყვნენ“, „სიყვარულის ასაკი“ და ვინ მოთვლის კიდევ კინოსურათებს, რომელთა შესახებ ჩვენი რაიონის მაყურებლებმა მხოლოდ გაზეთებიდან იციან. დოკუმენტურ და სარეკლამო სურათებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. რაც შეეხება კინოქრონიკას... ერთი და იმავე სურათების ჩვენებაა „ქრონიკული“!

ივნისში სოფლების ხაიშისა და ჭუბერის კინოთეატრებმა მხოლოდ 5 სახელწოდების კინოსურათი მიიღეს, რაიონის ცენტრის კინოთეატრებმა კი — 9. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კინოგაქირავების კანტორის ცხაკაიას განყოფილებას (დირექტორი ვ. ცაგურია) მესტიის მოთხოვნილების შესაბამისად გამოეგზავნოს კინოსურათები.

საჭიროა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველომ და კინოგაქირავების რესპუბლიკურმა კანტორამ მეტი ყურადღება გამოიჩინონ და მესტიის რაიონის მშრომელები უზრუნველყონ ნორმალური კინომომსახურებით.

რ. ჯაფარიძე,
მესტიის მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს

ხაშურის კონდუქტორთა რეზერვში ვმუშაობდი უფროს კონდუქტორად. 1954 წელს მძიმე ტრავმატული შემთხვევის გამო ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე. ჩემს გადარჩენას არავინ ფიქრობდა. ჩვენი სახელოვანი მედიცინის და საბჭოთა ორგანოების მუშაკების გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად შევინარჩუნე სიცოცხლე, მხოლოდ სამუდამოდ დაკარგე შრომის უნარი, გავხდი შრომის ინვალიდი. ამ დროს ცუდი საბინაო პირობები მქონდა და არც შრომისუნარიანი მყავდა ვინმე ოჯახში, გარდა ჩემი მეუღლისა, რომელსაც მუშაობა არ შეეძლო, რადგან მეც მოსაკლელი ვიყავი და მცირეწლოვანი ბავშვებიც.

დიდია კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობის ზრუნვა უბრალო ადამიანებზე. ამას ჩემი მაგალითიც მოწმობს. მე დამინიშნეს პენსია 880 მანეთი. ხაშურში ყაზბეგის ქუჩაზე ახლახან დამთავრდა რკინიგზელებისათვის საცხოვრებელი სახლის აგება. ამ სახლში სხვა რკინიგზელებთან ერთად მეც მომცეს კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა. ახლა ჩემი ცოლშვილით თავს შედნიერად ვგრძნობ.

მადლობა მშობლიურ მთავრობას და კომუნისტურ პარტიას ასეთი გულისხმიერი ზრუნვისათვის.

ნ. თიგიშვილი,
შრომის ინვალიდი, პენსიონერი.

დაუსწრებელი ფაკულტეტი კონსერვატორიაში

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია რესპუბლიკაში ერთადერთი სასწავლებელია, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა უმაღლეს მუსიკალურ განათლებას იღებს. სამწუხაროდ, ეს სასწავლებელი მისაღები კონტინგენტის სიმცირის გამო ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებს. საშუალო მუსიკალური განათლების კურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი წლითიწლობით ისე რჩება, რომ უმაღლეს განათლებას ვერ იღებს. მათი რიცხვი თანდათან მატულობს.

წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი თბილისის კონსერვატორიაში დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის გახსნის შესახებ. ეს საგრძნობლად გაუმჯობესებს მდგომარეობას და საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ უმაღლესი მუსიკალური განათლება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინიციატივას მხარი დაუჭირეს ზემდგომმა ორგანოებმა. ახალი სასწავლო წლიდან (სექტემბრიდან) თბილისის კონსერვატორიაში მუშაობას დაიწყებს ახალი დაუსწრებელი ფაკულტეტი.

ამ საჭირო, სასარგებლო საქმეს საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობა და მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

კ. ამაშუკელი,
საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი.

კომისიის დასკვნა საქმეს არ შველის

გაზეთ „კომუნისტის“ 1957 წლის 20 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა რეიდის მასალები, სადაც აღნიშნული იყო, რომ წლითით გრძელდება და უხარისხოდ კეთდება გოგებაშვილის ქუჩის მესამე ჩიხის № 5 საცხოვრებელი სახლის რემონტი.

წერილის გამოქვეყნებისთანავე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომისიამ დგილზე შეისწავლა მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ სარემონტო სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. კომისიამ დაასკვნა, რომ სახურავი აუცილებლად თუნუქით უნდა იქნას გადახურული, რადგანაც მას არა აქვს სათანადო დაქანება კრამიტით გადახურვისათვის.

რემონტის დაწყებამდე სახურავის თითქმის ნახევარი თუნუქით იყო გადახურული, რემონტის დაწყებისას კი ის კრამიტით შეცვალეს.

რა შედეგი გამოიღო კომისიის მუშაობამ?

კომისიის დადგენილების საფუძველზე საბინაო სამმართველომ გამოყო სათანადო თანხები დარჩენილი სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად და სახურავის თუნუქით გადასახურავად.

ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ კომისიის დადგენილების შესასრულებლად დღემდე არაფერი არ გაკეთებულა.

სახლში წვიმა ჩამოდის, ჭერი ფუჭდება და ინგრევა, ჩემს ოთახში ცხოვრება შეუძლებელია.

რატომ არის, რომ ხშირად ერთი და იგივე ობიექტი რამდენჯერმე ითხოვს ახალ ხარჯებს, ხოლო ამაში დამნაშავე საბინაო და სარემონტო მეურნეობის უპასუხისმგებლო თანამშრომლები დაუსჯელნი რჩებიან?

გ. დიასამიძე,
ექიმი.

რატომ არ იჩენენ დაინტერესებას

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება თბილისის გარეუბანი, სადაც მოსახლეობის სამსახურში ჩაყენებულია კულტსაგანმანათლებლო და კომუნალურ დაწესებულებათა ფართო ქსელი: კლუბ-სამკითხველოები, რადიო, კინოთეატრები, ტელეფონი და სხვ. უმჯობესდება საქალაქო ტიპის სამმოსვლო საშუალებები, მიმდინარეობს გზებისა და ხიდების მშენებლობა, მშვენიერდება დიბები და სოფლები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდ მიღწევებთან ერთად არის ნაკლიც.

მაგალითისათვის დაბა ავჭალის სინამდვილეში ჩავიხედოთ. ავჭალა, ისევე როგორც სხვა საგარეუბნო სოფლები, სულ უფრო კეთილმოწყობილი და ხალხმრავალი ხდება. კიდევ მეტს გვპირდება მომავალი. მაგრამ ამ სოფლის მოსახლეობა ვერ არის დაკმაყოფილებული წყლით. ონკანებიდან წყალს მცენარეთა ფესვები, ქერქი, ფოთლები, სილა და სხვა უცხო სხეულაკები მოყვება გაუფილტრაობისა თუ წყალსაცავების დაუცველობის გამო.

მოუგვარებელია აგრეთვე სატელეფონო კავშირი. ქვემო და ზემო ავჭალის მიჯნაზე მდებარე სკოლას და საავადმყოფოს ტელეფონი არა აქვთ.

ამავე ტერიტორიაზე, სადაც სკოლისა და საავადმყოფოს გარდა კოლმეურნეობის სასათბურო, საბოსტნე და საჩითილე მეურნეობაა, მტკვრის ორივე მხარე, განსაკუთრებით კი მარცხენა ნაპირი, დაბალბებულია და კოლოების საბუდარს წარმოადგენს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებასთან ერთად აუცილებელია გაკეთდეს საწრეტი არხები ნაჟონი წყლის მტკვარში ჩასაწურავად.

მსგავსი ნაკლოვანებებია გარეუბნის რაიონის სხვა სოფლებშიც. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უმოკლეს დროში შეიძლება, თუ კი თბილისის საქალაქო საბჭოსა და გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომები დაინტერესებას გამოიჩენენ.

შ. ბოგოლაძე,
ძ. მამაცაშვილი,
ი. ჯაფარაშვილი,
რკინიგზის მუშაკები.

სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებენ

რკინიგზის ტრანსპორტზე 1930 წლიდან ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე კეთილსინდისიერად ვასრულებ დაკისრებულ მოვალეობას. ამჟამად მესამე ჯგუფის ინვალიდი ვარ.

1956 წლის ნოემბერში ბათუმის გამცილებელთა რეზერვის დირექციამ უკანონოდ მომაყოლა შემცირება. სამართლის დასაცავად მივმართე თითქმის ყველა ადგილობრივ და რკინიგზის ზედგომ ორგანოებს. ჩემმა განცხადებამ ჯერ უშედეგოდ იარა, შემდეგ კი ჩემი საქმე რამდენჯერმე განიხილა სახალხო სასამართლომ და აღმადგინა სამუშაოზე. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორად ცნო და ძალაში დატოვა აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ.

რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კადრების განყოფილებას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 თებერვალს წარვუდგინე აღმასრულებელი ფურცელი ჩემი სამუშაოზე აღდგენისა და 20 დღის ხელფასის განაღდების შესახებ, მაგრამ მის შესრულებაზე დღემდე არავინ ფიქრობს.

მ. თავდგირიძე,
ბათუმის გამცილებელთა რეზერვის ყოფილი მუშა.

სახლი მოითხოვს რემონტს

ორბელიანის ქ. № 8 სახლი კატასტროფულ მდგომარეობაშია, კედლები დაიბზარა, ნაპრალებმა 5-10 სანტიმეტრამდე მიაღწია და, რაც ყველაზე საბიფთოა, სანაპიროს ქუჩის მხარეს 20 სანტიმეტრით დაიწია (გადაიხარა). სახურავში წყალი ჩამოდის, ბათქაშს შლის და ჭერს ჩამონგრევის საფრთხეს უქმნის. იმდენად დიდია სახლის დეფორმაცია, რომ კარები და ფანჯრები არ იხურება. ამიტომ იყო, რომ შარშან დეკემბერში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ბეღელაძემ და ინჟინერ-ინსპექტორმა ნინიძემ კიროვის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს ტაგანაშვილს მისწერეს, რომ აღნიშნულ სახლში საჭიროა ჩატარდეს სახურავის კაპიტალური შეკეთება, გადასაწყობია მოქმედი ოთახის კედლები და შესაკეთებელია ხის ღია ადგილის ნაწილები.

ამ მიმართვის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ამხ. ტაგანაშვილმა ორბელიანის ქ. № 8 სახლის მობინადრეებს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილებას აცნობა, რომ აღნიშნული სახლი შემოწმების შედეგად ავარიულ მდგომარეობაში არ იმყოფება და რაც მოვიცლით, ჩამოცლილ ბათქაშს მაშინ შევლესავთო.

აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ამხ. ტაგანაშვილი არაფერად აგდებს ქალაქის საბინაო სამმართველოს მიერ შემოწმებულ აქტს (ინჟინრების ბეღელაძის და ნინიძის დასკვნას) და მობინადრეებს უპასუხისმგებლოდ გვაშორებს თავიდან.

რატომ არ აწუხებს კიროვის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაკებს ეს მდგომარეობა? განა სახლის მოვლა პატრონობა მათი ვალი არ არის? პასუხს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მოველით.

ი. მათეშვილი, ვ. ჩახნაშვილი, ე. კაპანაძე, ტ. ბურგენიძე,
თბილისის ორბელიანის ქ. № 8 სახლის მობინადრეები.

შეუსრულებელი დაპირება

ზესტაფონ-ჭიათურის უბანზე რკინიგზის ფართოლიანდაგიანი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით გაფართოვდა ზესტაფონის სადგურის ტერიტორია. ამან გამოიწვია წულუკიძის ქუჩის შევიწროება და დაზიანება. გათხრილ ქუჩაში ამოხეთქა ყამირის წყალმა, რომელსაც გამდინარების საშუალება არა აქვს და მობინადრეთა ეზოებში იჭრება, ზოგჯერ სახლებშიც კი შედის. ზამთრობით და წვიმიან დღეებში ამ ქუჩაზე ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებულია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წულუკიძის ქუჩის გასწვრივ აღმოსავლეთის მხარეზე გაყვანილია საკანალიზაციო არხი, რომელშიც გადის ქალაქის ბინძური წყალი. წვიმიან დღეებში არხი ივსება და ნაპირებიდან გადმოხეთქილი ბინძური წყალი ეზოებში, ხშირად სახლებშიც შედის. დაუხურავი საკანალიზაციო არხი ქმნის აუტანელ სიბინძურეს და ანტისანიტარიას, იწვევს ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას.

ყოველივე ამაზე რამდენჯერმე მივმართეთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს, ადგილობრივ ხელმძღვანელ ამხანაგებს, სანეპიდსადგურს, ფეროშენადნობთა ქარხნის დირექციას, ამ საკითხზე იმსჯელა ქალაქის საბჭოს სესიამაც, რომელმაც საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში დააყენა. სამმართველოდან ა. წ. 4 მაისს მოვიდა პასუხი, რომელსაც ხელს აწერს უფროსის მოადგილე მარინაშვილი. გვატყობინებენ, რომ ქუჩის კეთილმოწყობისათვის მიღებულია ზომები. შედეგი კი არა ჩანს.

ჩვენ მოვითხოვთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაპირება შეგვისრულოს, ხოლო ქალაქის საბჭოს აღმასკომმა და სანეპიდსადგურმა მეტი ყურადღება მიაქციონ ქალაქში სისუფთავის დაცვას.

რ. და ვ. მაღლაკელიძეები,
ვ. ბარბაქაძე,
ქ. ზესტაფონის წულუკიძის ქუჩის № 46, 48 და 50 სახლის მცხოვრებლები.

ᲡᲐᲙᲐᲔᲠᲝ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ᲤᲠᲔᲜᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲒᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲚᲐᲒᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ

დიდი ხნის განმავლობაში, სანამ ადამიანი გამონახავდა საჰაერო ოკეანის სიღრმიდან ასვლის საშუალებას, ატმოსფეროს ზედაფენის შესწავლა ხდებოდა არაპირდაპირი მეთოდების გზით. მაგალითად, მიწაზე დადგმული ხელსაწყოების საშუალებით აკვირდებოდნენ მეტეორებს, ღამის ცის ნათებას, პოლარულ ციალს. მეცნიერები თვეობით ლაბორატორიაში ცდილობდნენ წარმოესახათ და შეესწავლათ მათთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე მომხდარი მოვლენები. ატმოსფეროს შესწავლის ბევრი ეს არაპირდაპირი მეთოდი დღესაც ძალაშია.

მაგრამ ამ საქმეში საბოლოო დასკვნების მიღწევისათვის აუცილებელია უშუალოდ გამომკვლევი, შესასწავლი ატმოსფეროს ფენებში ამსვლელი გამზომი ხელსაწყოები. ასეთ მუშაობას საფუძველი ჩაუყარა რუსმა აკადემიკოსმა ი. დ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სესიის დოკუმენტები

პრაღა, 29 ივლისი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XVIII საგანგებო სესიამ. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს სესიის დოკუმენტებს, რომლებიც მიღებულია უდიდესი ენთუზიაზმისა და სრული ერთსულოვნების ატმოსფეროში.

ყველა ქვეყნის მშრომელებისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი მიმართვაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი ენერგიულად გმობს ამერიკა-ინგლისის შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანში, იორდანიასა და ლიბიაში.

აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმება ერაყელ ხალხს, რომელიც განთავისუფლდა იმპერიალისტური მონობისაგან, ბოლო მოუღო მონარქიას და შექმნა რესპუბლიკა.

მშრომელები, აღნიშნულია მიმართვაში, მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივას.

შემდეგ მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სერიოზული მდგომარეობა, რომელიც იმპერიალისტთა პოლიტიკის შედეგად შეიქმნა, მშრომელთა მასებისა და პროფკავშირებისაგან მოითხოვს მაქსიმალურ სიფხიზლეს. ამიტომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს გაძლიერონ მოქმედება არაბ ხალხებზე იმპერიალისტთა ზეგავლენის წინააღმდეგ, ახლო და შუა აღმოსავლეთიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისათვის.

არაბთა ქვეყნების მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ისინი ეწეოდნენ და კვლავაც ეწევიან გმირულ ბრძოლას იმპერიალისტური აგრესორების წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაცვისათვის. მთელი მსოფლიოს ხალხთა მხარდაჭერით მათ მოიპოვეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვებანი სუეცის არხზე თავისი სუვერენიტეტის აღდგენაში, სირიის მიმართ იმპერიალისტთა შეიარაღებული მუქარის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამრიგად სერიოზული ლახვარი ჩასცეს იმპერიალისტებს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის 92 მილიონი წევრის სახელით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი არაბი ქვეყნების მშრომელებსა და პროფკავშირებს უთვლის უაღრესად ძმურ, გულითად მილოცვას.

„პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი, — ნათქვამია წერილში,—საქვეყნოდ გაძლევთ პირობას, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია და მისი მომხრე ორგანიზაციები ყოველივე შესაძლებელს გააკეთებენ ქოელი მსოფლიოს მშრომელთა დასარაზმავად და მოუწოდებენ მათ სხვადასხვა და უაღრესად ეფექტიანი მოქმედებით დაუჭირონ მხარი თქვენს ბრძოლას. ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს ბრძოლას ახალგაზრდა ერაყის რესპუბლიკის დაცვისათვის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კონსოლიდაციისა და ლიბანიდან, იორდანიიდან, ლიბიიდან და არაბთა ყველა სხვა ქვეყნიდან აგრესორთა განდევნისათვის.

ჩვენ მხარს დაგიჭერთ სრულ გამარჯვებამდე“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდისადმი დეპეშაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს მას ენერგიული და მტკიცე მოთხოვნით დაუყოვნებლივ მოიწვიოს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი, რათა ბოლო მოეღოს ამერიკა-ინგლისის ინტერვენციას არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკისა და ინგლისის მთავრობათა მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების დარღვევის წინააღმდეგ და საჭიროდ მიაჩნია მოუწოდოს მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით პატივი სცენ მის წესებას.

„სალუტი მერფის პაჭივსაცემად...“

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ვიცეთ „ნიუს ქრონიკლის“ ბეირუთელი კორესპონდენტი ნორმან კლარკი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების საზელმწიფო მდივნის მოადგილეს მერფის, რომელიც ლიბანში „მოღვაწეობს“, 27 ივლისს ჩასაფრებულმა ლიბანელმა აჯანყებულებმა აუტეხეს სროლა და ძლივს გადარჩა გაქცევით.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, ბეირუთის ჩრდილოეთით გზის ერთ-ერთ უბანზე აჯანყებულთა ჯგუფმა სროლა აუტეხა მერფის ავტომობილს. ერთი ტყვია ავტომობილს მოხვდა, მაგრამ არავინ დაჭრილა.

კორესპონდენტი ირონიულად აღნიშნავს, რომ ლიბანში ამერიკის საელჩოს ვერსიის თანახმად, სროლა იყო მხოლოდ „სალუტი“, რომელიც მერფის პატივსაცემად მისცა ერთ-ერთი ტომის წევრთა ჯგუფმა.

მოითხოვენ მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევას

კაირო, 29 ივლისი. (საკდესი). არაბთა საზოგადოებრიობის მთელ ყურადღებას კვლავ იპყრობს მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის იდეა. არაბი ხალხები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, რომელიც იბრძვის მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევისათვის სასწრაფო ღონისძიებების მისაღებად, რათა შეწყდეს შეიარაღებული კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში უდიდესი ინტერესით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის ახალ წერილებს დ. ეიზენჰაუერისადმი, ჰ. მაკმილანისა და შ. დე გოლისადმი. კაიროს ყველა გაზეთი პირველ გვერდზე ათავსებს ამ წერილების დაწვრილებითს შინაარსსა და ამონაწერებს, ხაზგასმით აღნიშნავს რა სათაურებში, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას.

გაზეთები სათაურებში ხაზს უსვამენ აგრეთვე იმას, რომ შეერთებული შტატების მმართველი წრეები აბრკოლებენ ასეთი თათბირის მოწვევას.

რეზოლუციას უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს, გაზეთი „ალ-გუმჰურია“ აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნები კვლავ ახორციელებენ თავიანთ იმპერიალისტურ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

გაზეთი „ალ-აჰბარი“ აცხადებს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ახალი წერილები აფრთხილებენ დასავლეთს ერაყში სამხედრო ინტერვენციისათვის მზადების წინააღმდეგ.

სუდანის ჯარების კონცენტრაცია არაბთა ქვეყნების საზღვრებზე

დამასკო, 29 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „არ-რაი ალ-ამის“ ცნობით, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონთან და ერაყთან თურქეთის მთელი საზღვრის გაყოლებით გრძელდება თურქეთის ჯარების კონცენტრაცია, რომლებიც ჩამოდიან ანკარიდან, იზმირიდან, სტამბულიდან და ადანიდან. თურქეთის ჯარების განსაკუთრებით ინტენსიური კონცენტრაცია წარმოებს თურქეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში, რომლებიც ერაყთან და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონთან საზღვრების უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ.

ბირმამ ცნო ერაყის რესპუბლიკა

რანგუნი, 29 ივლისი. (საკდესი). ბირმის კავშირის მთავრობამ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა ოფიციალურად ცნოს ერაყის რესპუბლიკა.

ინგლისის ლორდთა პალატაში

ლონდონი, 29 ივლისი (საკდესი). ლორდთა პალატაში გუშინ საღამოს დაიწყო კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. პალატის მთელმა რიგმა წევრებმა მოითხოვეს უმაღლეს დონეზე თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევა შუა აღმოსავლეთის პრობლემების გადასაჭრელად და საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

გახსნა რა კამათი, ლეიბორისტმა ლორდმა ჰენდერსონმა განაცხადა, რომ ინგლისელი ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს ასეთი თათბირის მოწვევას. „ახლა,—თქვა მან, — საჭიროა მივაღწიოთ თათბირის მუშაობის უსწრაფესად დაწყებას. დროის უბრალოდ ხარჯვა კრიზისის გადაჭრის საშუალება როდია“. ორატორმა მოუწოდა ინგლისსა და შეერთებული შტატების მთავრობებს სწრაფად და გადაჭრით იმოქმედონ „მშვიდობის ინტერესებისათვის“.

ლორდმა ჰენდერსონმა სურვილი გამოთქვა, რომ პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა მთავრობათა მეთაურების თათბირზე შეიტანოს „პოზიტიური წინადადებანი“. დასასრულ ორატორმა მოუწოდა ცნონ ერაყის ახალი მთავრობა.

ლორდმა სოლსბერიმ აგრეთვე მოითხოვა უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა და იგი მიიჩნია „ერთადერთ შესაძლებელ გამოსავალად“ შექმნილი მდგომარეობიდან.

ლორდმა ასტორმა მოითხოვა ცნონ ერაყის რესპუბლიკა. „საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმას, — თქვა მან, — რომ რევოლუცია ერაყში მომხდარი ფაქტია და რომ იგი ასახავს ერაყის უმრავლესობის აზრს“.

ლორდმა ალექსანდერმა განაცხადა: „დაე თათბირი უმაღლეს დონეზე გადაწყდეს რაც შეიძლება მალე. მთელი მსოფლიოს უბრალო ხალხი შეშფოთებით და მტკიცედ მოელის, რომ ჩვენ მას მივუტანთ მშვიდობას და არა ომს“.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ლეიბორისტული ოპოზიციის დაჟინებითი მოთხოვნით ბეჭდის მცველმა ლორდმა ბატლერმა დღეს თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრის სახელით გააკეთა მოკლე განცხადება ინგლისის მთავრობის ახლანდელი პოზიციის შესახებ უმაღლეს დონეზე შეხვედრის საკითხში.

პრემიერ-მინისტრმა, აღნიშნა ბატლერმა, ახლა მიიღო ბ-ნ ხრუშჩოვის ახალი წერილის სრული ტექსტი. მთავრობას კონსულტაცია ექნება მოკავშირეებთან ამის გამო. რაც შეეხება თათბირისათვის მზადებას და იმასთან დაკავშირებულ დეტალებს, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას თათბირში, ბატლერმა შეხთავაზა პალატას გაეცნოს პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია პრემიერ-მინისტრ მაკმილანის 26 ივლისის წერილში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

ლეიბორისტმა ბეზუიკმა მოითხოვა, რომ პალატას აცნობონ, რატომ არ არის ჯერ კიდევ მზად მთავრობა დანიშნოს თათბირის თარიღი. ბატლერმა კვლავ განაცხადა, რომ საჭიროა კონსულტაცია ამის გამო. პრემიერ-მინისტრი, დასძინა მან, მალე გასცემს პასუხს ნ. ს. ხრუშჩოვის უკანასკნელ წერილზე.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჰეიტსელმა განაცხადა, რომ, თუმცა ოპოზიციამ სავსებით დაუჭირა მხარი მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ უმაღლეს დონეზე თათბირი მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით, მან მხარი დაუჭირა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ კონფიდენციალური თათბირების პრინციპს. ჰეიტსელმა მთავრობას მოსთხოვა პირობა არ დაუშვას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში თათბირის მოწყობის წინადადების მხარდაჭერამ ხელი შეუშალოს სხვა კონფიდენციალური თათბირების გამართვას.

ბატლერმა თქვა, რომ მთავრობის პოზიცია მუდამ გამოიხატებოდა იმით, რომ საჭიროა მოეწყოს როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური თათბირები.

დამთავრდა ბაღდადის პაქტის საბჭოს სესია

ლონდონი, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა ბაღდადის პაქტის საბჭოს ორდღიანი სესია. უკანასკნელ სხდომას წინ უძღოდა პაქტის სამხედრო კომისიის სხდომა, რომელიც თურქეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ფეზმი მენგიუჩის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სესიის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე. ეს კომუნიკე მოწმობს, რომ ამ აგრესიული სამხედრო ბლოკის მონაწილეებს განზრახული აქვთ განაგრძონ საომარი მზადება ახლო და შუა აღმოსავლეთში, მიმართული ამ რაიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. როგორც კომუნიკედან ჩანს, პაქტის მონაწილე ქვეყნები სავსებით იწონებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანსა და იორდანიაში, ამტკიცებენ, რომ ეს აქციი განხორციელდა თითქოს „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების შესაბამისად“.

ამავე დროს კომუნიკე, ისევე როგორც გუშინ გამოქვეყნებული დეკლარაცია, შეიცავს მონაჭორს „არაპირდაპირი აგრესიის“ შესახებ, რომელიც თითქოს ემუქრება ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს „დამოუკიდებლობასა“ და „ტერიტორიულ მთლიანობას“.

კომუნიკეში გამოთქმულია კმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების იმ განცხადების ვამო, რომ მზად არიან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარონ პაქტის მონაწილეებთან სამხედრო დარგში. ამ ნაბიჯს, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადადგეს, რათა მხარი დაუჭირონ აღნიშნულ ბლოკს, მხარს არ უჭერს არც ერთი არაბული ქვეყანა.

მდგომარეობა იორდანიაში

კაირო, 30 ივლისი. (საკდესი). კაიროს პრესა აქვეყნებს იორდანიიდან მიღებულ ცნობებს, რომლებიც მოწმობენ, რომ იორდანიელი ხალხი მრისხანე პროტესტს აცხადებს იორდანიაში ინგლისის საოკუპაციო ჯარების შეჭრის წინააღმდეგ. ხალხის მღელვარების ჩასახშობად მეფე ჰუსეინი, როგორც გაზეთი „აშ-შაბი“ იუწყება, არმიას იყენებს.

„აშ-შაბი“ წერს, რომ იორდანიის ჯარებსა და მოსახლეობას შორის გაფთრებული ბრძოლა მოხდა სოფელ კაფრსუნის მახლობლად. გაზეთი იმოწმებს ქალაქ რამალაჰის რადიოს და აღნიშნავს, რომ მოსახლეობასა და ჯარებს შორის შეტაკება ხდება იორდანიის სხვა რაიონებშიც.

ხელისუფალნი, წერს „აშ-შაბი“, მასობრივ დაპატიმრებას აწარმოებენ მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილ ფენებში. გაზეთი იუწყება, რომ დაპატიმრებულთა შორის არიან ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს სტატს-მდივანი ჰამად ელ-ფარჰანი, აგრეთვე 12 იორდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებმაც აღშფოთება ვამოთქვეს ინგლისელთა მიერ იორდანიის ოკუპაციის გამო.

იორდანია, ხაზს უსვამს გაზეთი, სასტიკი ეკონომიური კრიზისის მარწუხში იმყოფება. საქმიანი აქტივობა დაეცა. ბევრი ვაჭარი ჩივის იმის გამო, რომ გაკოტრების პირას იმყოფებიან. ეკონომიური მოდუნების შედეგად იორდანიაში ძლიერ გამრავლდა უმუშევართა არმია.

დალესი ვაშინგტონში დაბრუნდა

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). ბონში კანცლერ ადენაუერთან მოლაპარაკებისა და ბაღდადის პაქტის ლონდონის სესიაში მონაწილეობის შემდეგ დღეს ვაშინგტონში დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, დალესმა აეროპორტში განაცხადა, რომ ლონდონის თათბირმა გადადგა, როგორც მან თქვა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი შეერთებულ შტატებსა და ბაღდადის პაქტის მონაწილეთა შორის უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. მან განმარტა, რომ აქ იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, შეთანხმებების დადება პაქტის მონაწილე ქვეყნების იარაღით მომარაგების შესახებ.

დალესმა უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა ნ. ს. ხრუშჩოვის 28 ივლისის წერილისათვის პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი, მოიმიზეზა რა, რომ ჯერ კიდევ არ წაუკითხავს წერილის სრული ტექსტი. მან მხოლოდ აცნობა კორესპონდენტებს, რომ დღეს შეხვდება პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რათა განიხილონ საკითხი პასუხის შესახებ, რომელიც უახლოეს რამდენიმე დღეში იქნება შედგენილი.

ჩანკაიშელებმა საკადრისი პასუხი მიიღეს

პეკინი, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო უწყება, ჩანკაიშელთა ხროვამ, ისარგებლა რა ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარების გამწვავებით, გააძლიერა თავისი პროვოკაციები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

დღეს ჩანკაიშელთა ოთხი რეაქტიული თვითმფრინავი შემოიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში ქალაქ შანტოუსა და კუნძულ ნანიაოს რაიონში. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის თვითმფრინავები აფრინდნენ ჰაერში და საკადრისი პასუხი გასცეს პროვოკატორებს: ჩანკაიშელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ერთი დააზიანეს.

საიუბილეო საჩუქრად მეორეკლასელებს ბიბლიოთეკა

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის — საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ამ ყველაზე დიდი, წამყვანი საწარმოს კოლექტივმა საქართველოს დედაქალაქის — თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავ საჩუქრად მიიღო შესანიშნავად მოწყობილი მუშათა სასადილო, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 29 ივლისს.

სახელდახელო მიტინგი დაიწყო სწორედ იმ დროს, როცა ფაბრიკაში დილის შესვენება იწყებოდა და სასადილოს კარი გაიღო მუშებისათვის. სიტყვით გამოსულმა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გოჩიაშვილმა და ფაბრიკის დირექტორმა გ. გაყურელიძემ მკერავებს მოულოცეს ეს მნიშვნელოვანი შენაძენი და მთელი თავიანთი კოლექტივის სახელით აღუთქვეს პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ მკერავები მათს ასეთ მშობლიურ ზრუნვას უპასუხებენ დაუღალავი შრომით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

მუშათა საფაბრიკო სასადილოს ხაზეიმო გახსნას დაესწრნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის და მეზობელ საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები.

• • •

სურათებზე: 1. სადილის გაცემა ახალ სასადილოში; 2. სასადილოს დარბაზში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 7

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 7.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: მოწინავე — ავამაღლოთ აღგილობრივი საბჭოების მუშაობის დონე. სტატიები: **ვ. მეგავანაძე** — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი აღმავლობის მნიშვნელოვანი პირობა; **ხ. ლარცულიანი** — წარმოების სოციალისტური წესის წარმოშობის თავისებურების შესახებ; **ვ. რეხვიაშვილი**— რსდშპ II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა; **პ. ხუციშვილი** — ქართული საბჭოთა მუსიკის შემდგომი აღმავლობისათვის.

განყოფილებაში **პარტიული ცხოვრება** დაბეჭდილია: **ი. რთველიაშვილი**—პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე; **ე. ქვათაძე**—გავაუმჯობესოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად; **კ. მარუაშვილი**—პარტიული ორგანიზაცია მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის ბრძოლაში.

განყოფილებაში **პარტიულ მუშაკთა დასახმარებლად** გამოქვეყნებულია: **პარტიული კონტროლის** შესახებ.

განყოფილებაში **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** მოთავსებულია: **კ. ივანიძე** — საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში; **ვ. სანიკიძე** — წიგნი პარტიული მშენებლობის საკითხებზე.

ფეიგურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

გრძელდება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. დღეისათვის გუნდების უმრავლესობას ჩატარებული აქვს 12 თამაში, ზოგიერთს — 13.

მორიგი მატჩი გაიმართა სტალინოში. სსრ კავშირის თასის მფლობელი მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეხვდა სტალინოს „შახტიორს“. შეჯიბრება ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა „შახტიორის“ ვამარჯვებით ანგარიშით 2:1.

* * *

მოსკოვი, 30 ივლისი. დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩში მოსკოვის დინამოელები შეხვდნენ თავიანთ თბილისელ თანაკლუბელებს.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 2:0. მე-15 და მე-30 წუთზე ბურთები გაიტანეს გაგნიძემ და იამანიძემ.

მეორე ტაიმში ინიციატივა ხელთ იგდეს მოსკოველებმა. მე-7, მე-19, 33 წუთზე მათ 3 ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში და გიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

ამრიგად, დღეისათვის XX ჩემპიონატი ცხრილში პირველი 5 ადგილი უკავია — მოსკოვის „სპარტაკს“ (12 თამაშიდან 18 ქულა), სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს (13 თამაშიდან 16 ქულა), სტალინოს „შახტიორს“ (13 თამაშიდან 15 ქულა), ლენინგრადის „ზენიტს“ (13 თამაშიდან 14 ქულა) და დედაქალაქის „ლოკომოტივს“ (12 თამაშიდან 14 ქულა).

დღეს მოსკოვში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები.

ირანელ ფეხბურთელებთან შეხვედრა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ირანის „ტაჯისა“ და თბილისის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდები.

ასპარეზობას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი — შესრულებულ იქნა ირანის, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები.

პირველი ტაიმი აღინიშნა თბილისელთა უპირატესობით და დამთავრდა მათსავე სასარგებლოდ 2:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში არმიელმა ფეხბურთელებმა დამატებით 2 ბურთი გაიტანეს, ხოლო თავიანთ კარში ერთი არ მიუღიათ.

შეხვედრა, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

რედაქტორი პ. რატიანი.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — ფიდელიო, **ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — სიმართლე, **ფილარმონიის ბაღი**, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი**, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ქალაქი ანთებს სინათლეებს, **ამირანი** (საზაფხულო), **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — დროშები კოშკზე, **ისანი** (საზაფხულო), **თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი** — მხიარული ვაქები, **ოქტომბერი** (საზამთრო), **სპარტაკი, საქართველო** (საზაფხულო), **ვაკის პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — მეგობრობის ზეიმი მოსკოვში.

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — უზბეკეთის სსრ რესპუბლიკის ბალეტური ცეკვის ანსამბლის „ბახორის“ (გაზაფხული) კონცერტი (9 ს.).

ტელეგადაცემათა პროგრამა

31 ივლისისათვის

20.00—გადაცემა ბავშვებისათვის—„კოროლენკო — „უსინათლო მუსიკოსი“. (ახალი სატელევიზიო დოდგმა). 20.50 — მხატვრული ფილმი „ჩენი საბრალო, საყვარელი დედა“.

მეუღლე ვალერიან, შვილი მედეა, სძე ჯუმბერ როინიშვილი, შვილიშვილი დოდო, და ვარდო ოჯახით იუწყებიან საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის —

ეკატერინე მელქისედეკის ასულ ნაკაშიძე-ჩეხოვას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VIII, მახარაძეში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი და ბრძოლა თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ

(დასასრული)

საკმაოდ გაცვეთილია და მენშევიკების ნალაყბევის გამეორებაა ინგლისელი და სხვა ქვეყნების რევიზიონისტების განცხადება, თითქოს დემოკრატიული ცენტრალიზმი შინაპარტიული დემოკრატიის რღვევას იწვევს და პარტიის რიგითი წევრების ნებასურვილის ჩახშობას წარმოადგენს. ისინი „ამტკიცებენ“, თითქოს დემოკრატია და ცენტრალიზმი ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან.

თანამედროვე რევიზიონისტების, იმპერიალიზმის ამ ლაქიების ნამდვილი სახე გამოამჟღავნა ჯონ ჰეიტსმა, რომელიც 1958 წლის იანვრამდე ამერიკის კომუნისტური პარტიის რიგებში იყო. იგი სხვა რევიზიონისტებთან ერთად „ამტკიცებს“, რომ „ახალ ვითარებაში“ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან, საბჭოთა კავშირთან და პარტიასთან, რომელიც აგებულია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზეო.

თანამედროვე რევიზიონისტები უარყოფენ საბჭოთა კავშირის — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წმაყვან როლს სოციალისტური ქვეყნების ბანაკში, ისინი უარყოფენ სკკპ — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დამკვრელი ბრიგადის ხელმძღვანელ როლს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, ანგარიშს არ უწევენ რა იმ ფაქტს, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯის — საბჭოთა კავშირისა და სახელოვანი სკკპ ხელმძღვანელი როლი ვინმეს მიერ ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობა კი არ არის, არამედ ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგია. სწორედ საბჭოთა კავშირმა და მისმა კომუნისტურმა პარტიამ გაკაფეს გზა სოციალიზმისაკენ და წარმოადგენენ უძლეველ ძალას საერთაშორისო მოვლენათა სფეროში. რევიზიონისტები ილაშქრებენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების გამოცდილების ურთიერთგაზიარების წინააღმდეგ.

რევიზიონისტულ შემოტევებში, მარქსიზმ-ლენინიზმის „გაუმჯობესების“ საკითხში ცოტას როდი სცოდავენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელები. ამაზე ლაპარაკობს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამა და ახლახან დამთავრებული ყრილობის მასალები. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის პროექტი, რომელიც წინასწარ გამოქვეყნდა და მიღებულ იქნა ამ კავშირის VII ყრილობის მიერ, შეიცავს ბევრ მცდარ, არასწორ დებულებას და პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად პრინციპებს, უპირისპირდება სხვა კომუნისტური პარტიების შეხედულებებს მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხებში.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიის მკვიდრ ბაზაზე დაყრდნობით კიდევ უფრო მეტად ამჭიდროებენ თავიანთ რიგებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე და ეწევიან შეუპოვარ ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებზე აგებული სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ურყევი თანამშრომლობა და დარაზმულობა, პროლეტარიატის მზარდი საერთაშორისო სოლიდარობა, პირველი სოციალისტური ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ძლიერების უდიდესი ზრდა იმის გარანტიაა, რომ განწირულია იმპერიალისტების ყოველგვარი ცდა ძირი გამოუთხარონ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას.

საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, ყველა ქვეყნის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა გამანადგურებელი პასუხი გასცეს ოპორტუნისტთა და რევიზიონისტთა შემოტევას როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკისა და პარტიის მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებში, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების გამოყენების საკითხებში.

დემოკრატიული ცენტრალიზმი არის და